

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

ქ.თბილისი

TBILISI

21.06 2023 წ.

№ 61

„დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის ფინანსური გარანტიის მიმართ მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს N68 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წესდების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის ფინანსური გარანტიის მიმართ მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს N68 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის ფინანსური გარანტიის მიმართ მოთხოვნები“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი).
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლისთანავე, თუმცა, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ამავე ბრძანებით დამტკიცებული „დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის ფინანსური გარანტიის მიმართ მოთხოვნები“ (დანართი) გამოაქვეყნოს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ვებგვერდზე (www.gse.com.ge).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის მართვის დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

გიორგი გიგინეიშვილი